

შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელო

ამ კატეგორიაში წარმოდგენილი თითოეული განაცხადი შეფასდება 10 კრიტერიუმის მიხედვით: აქედან 8 კრიტერიუმი უკავშირდება პროექტს, ხოლო 2 - კომპანიის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ზოგად პოლიტიკას და საქმიანობას თანამშრომლებთან მიმართებით. **ჟიურის წევრებს თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმუმ 10 ქულის მინიჭება შეუძლიათ.**

შეფასების კრიტერიუმი	რაზე გაამახვილებენ ყურადღებას ჟიურის წევრები	შეფასების დიაპაზონი
პროექტთან დაკავშირებული კრიტერიუმები - ჯამური ქულის მაქსიმუმ 80%		
<i>დაგეგმვა</i>		
1. პრობლემის სწორად იდენტიფიცირება	პროექტი/ინიციატივა შეესაბამება დასაქმებულების რეალურ საჭიროებებს, რომელთა გამოვლენა მოხდა თანამონაწილეობითი პროცესის მეშვეობით.	0-10 ქულა
2. მართებული სტრატეგია/გადაწყვეტა	პრობლემის გადასაწყვეტად შეირჩა ეფექტიანი სტრატეგია.	0-10 ქულა
<i>განხორციელება</i>		
3. ყოვლისმომცველი მიდგომა და აქტივობები	განხორციელებულია ეფექტიანი და მრავალფეროვანი აქტივობები; სახეზეა კომპლექსური მიდგომა ინვესტირებული რესურსებისა და გამოყენებული სტრატეგიების თვალსაზრისით, თანმიმდევრული ძალისხმევა.	0-10 ქულა
4. მართვა	პროექტის მართვა გამართული და ეფექტიანია; კომპანია ატარებს საქმიანობის მონიტორინგს და შეფასებას, ზრუნავს გაუმჯობესებაზე	0-10 ქულა
5. ჩართულობა და კომუნიკაცია	თანამშრომლებთან და სხვა რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია, თანამშრომელთა ჩართულობა.	0-10 ქულა
<i>შედეგები და ზეგავლენა</i>		
6. შედეგები და ზეგავლენა	განაცხადში ნათლად არის წარმოჩენილი ის შედეგები და სიკეთე, რაც მიიღო დასაქმებულმა; შესაძლებელია შედეგებისა და ზეგავლენის გაზომვა და დასაბუთება.	0-10 ქულა
7. პროექტის შედეგების მდგრადობა	პროექტის შედეგები მდგრადია და გრძელვადიანად შენარჩუნდება; წარმოდგენილი განაცხადი ნათლად აჩვენებს, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.	0-10 ქულა

8. განვითარების პოტენციალი	პროექტს აქვს განვითარებისა და გაფართოების პოტენციალი. კომპანიას კონკრეტული სამომავლო გეგმები აქვს პროექტთან ან სამიზნე პრობლემასთან დაკავშირებით.	0-10 ქულა
ზოგადი სტრატეგია და მისი შესრულება - ჯამური ქულის მაქსიმუმ 20%		
9. ზოგადი პოლიტიკა და სტრატეგია თანამშრომლებთან მიმართებით	კომპანიას აქვს ადამიანური რესურსების მართვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული პოლიტიკა; ამ პოლიტიკის ძირითადი თემები (ფოკუს-სფეროები) რელევანტურადაა განსაზღვრული.	0-10 ქულა
10. საერთო მიღწევები და განხორციელებული ინიციატივები	კომპანია ახორციელებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, კეთილდღეობის და პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ ინიციატივებს და საქმიანობას, რასაც აქვს კონკრეტული შედეგები; დანერგილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემები.	0-10 ქულა

ქულების მინიჭების სახელმძღვანელო პრინციპები			
0-2 ქულა:	ძალიან სუსტი ყველა თვალსაზრისით	5-7 ქულა	საკმაოდ კარგი
3-4 ქულა:	საშუალო	8-10 ქულა	გამორჩეულად კარგი ყველა თვალსაზრისით

შენიშვნა: შეფასებისას გათვალისწინებული იქნება კომპანიის ზომა, საქმიანობისა და შედეგების მასშტაბი შეფასდება კომპანიის ზომასთან შეფარდებით.